

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომა  
ოქმი № 4

ქ. ახმეტა

31 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ. წითელაური, ი.უჯირაული, ნ.ღუბიანური  
რ.ბადაკაშვილი, დ.მურთაზაშვილი,  
გ.ქიტესაშვილი, თ.ბოდაველი, გ.მაისურაძე,  
ა.შათირიშვილი, ა.მექვევრიშვილი

სხდომა გაიხსნა 12<sup>00</sup>სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს  
გაცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი  
სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.



სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით მურთაზაშვილმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს და წარმოადგინა კომისიის დასკვნა. აღნიშნა, რომ კომისია რეკომენდაციას იძლევა აღნიშნული პროექტი განხილული იქნას ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგში შეტანას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12<sup>20</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი